საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/140 "20" დეკემბერი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ქ. თხელიძის ცაგერის რაიონულ სასამართლოში მივლინების შესახებ

2022 წლის 28 მაისს ცაგერის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნანა ჯანხოთელი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, 65 წლის ასაკის მიღწევის გამო. იგი აღნიშნულ სასამართლოში უფლებამოსილების განმახორციელებელი ერთადერთი მოსამართლე იყო, შესაბამისად მართლსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩაითვალა, გარკვეული საორგანიზაციო და საკადრო უფლებამოსილებების განხორცილების მიზნით მოსამართლის მივლინება.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ცაგერის რაიონული სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების წინადადებით მიემართათ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს. 2022 წლის 19 დეკემბერს მიღებულ იქნა ამავე სასამართლოს მოსამართლე ქეთევან თხელიძის თანხმობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, 2022 წლის 21 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე:

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ქეთევან თხელიძე მივლინებულ იქნეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2. ქეთევან თხელიძემ იმავდროულად მოსამართლის უფლებამოსილება განახორციელოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი